

გილოყავთ უკოვიდო, უსაფრთხო სასწავლო წელს!

შპს „ცოდნის“ საქმენი საბმრონია

„მაშინ იხარებს მნიდნავი, ოდას მოითვლის მტკვნებსა“



წარმომადგენლები: ადმინისტრატორ-კონსულტანტი: **ნელი დიასამიძე**, ოფისმენეჯერი: **მარი ჯაშია-შვილი**... და, როცა ასეთი თავდადება, ასეთი სიყვარულია საქმისა, ერთუზიანში და ჰარმონია, შედეგიც შესატყვისია. ასე რომ, „ცოდნელებმა“ თავდადებული შრომით მტკვნებიც უზვად მოითვალეს და კარგადაც გაიხარეს.

მიყვარს დიდი პედაგოგებისა და დირექტორების გახსენება-ჩამოთვლა, ისეთებისა, როგორც იყვნენ და არიან: **გრიგოლ კობახიძე, ლევან ჩიქვანიძე, აკაკი კვიციანიძე, დემურ კალანდარიძე, მერი აფხაზავა**... მათ თანაგვარსკვლავებში ბრწყინავს ღვანდოსილი **ნაზი ნადირაძე**. მადლობა მინდა ვუთხრა ჩინებულ პედაგოგებს: **ლია ბაზაძეს** და **სათუნა გრძელიძეს**, რომლებიც, როგორც ილია იტყოდა, ჟურნალისტური ნიჭით არიან მადლცხებულნი. უცვლელად გთავაზობთ მათ სტატიას.



ახლა 2022—2023 სასწავლო წლის დასაწყისია, სექტემბრის მინუტული... ჩაიარა 15 სექტემბრის ზარ-ზეიმმა, მღელვარე მოლოდინმა სკოლასთან შეხვედრისა.. ვილაცისთვის ეს მორიგი სასწავლო წლის პირველი დღე იყო, ვილაცისთვის კი დღე, რომელიც მთელი ცხოვრება ემხსოვრება. უპირველესად ესენი პირველკლასელები არიან, უკვე „ცოდნელები“, რომლებიც ამ დღეს სკოლის მოსწავლეები გახდნენ...

2022—2023 სასწავლო წელს სკოლა „ცოდნის“ სამი პირველი კლასი გაიხსნა. დირექციამ პირველკლასელები სახელმძღვანელოებითა და სასკოლო ფორმებით დაასაჩუქრა. მასწავლებლებმა: **ეკა თევზაძემ, მარიამ მოდებამ** და **თინათინ ბლიაძემ** პატარებს ლამაზად, სიყვარულით მორთული საკლასო ოთახები დაახვედრეს.

სკოლა „ცოდნის“ უკვე 28 წლის ისტორია აქვს. უკვე რამდენი თაობა გავიდა ცხოვრების დიდ ასპარეზზე ამ კედლებიდან... რამდენი წარმატებული ადამიანი აღზარდა „ცოდნაში“.. არც შარშანდელი წელი იყო გამონაკლისი — სკოლას ხუთი ოქროსმედალოსანი ჰყავდა. წელს 12 კურსდამთავრებული გრანტი ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, რაც სკოლისათვის ნამდვილად სამაყვაროა, ესენი არიან: **თორნიკე კალმახელიძე** — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — 70% გრანტი, **დათო სალაძე** — ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი — 50% გრანტი, **ლევან ცოფურაშვილი** — ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი — 50% გრანტი, **ანა ჩავლიძე** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი — 50% გრანტი, **მარიამ სიჭინავა** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, **რატი ლავერაძე** — შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, **ნინო ბერიაშვილი** — შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, **გიორგი ხუ-**

რედაქტორი

შპს „ცოდნის“ მიღწევები და ახალი მიზნები

ყველაფერს თავისი დრო აქვს ამ მზისქვეშეთში, - თქვა ბრძენმა მეფე სოლომონმა. დიახ, ასეა — არის დრო სწავლა-გარჯვისა



და არის დრო დასვენებისა. და ასე, მიდის დრო, ენაცვლება ერთმანეთს ჟამი სწავლისა და ჟამი დასვენებისა, იზრდებიან ბავშვები, მოდიან ახალი თაობები...

ქალბატონმა **ნაზი ნადირაძემ**. ანიმატორებისა და პირველი მასწავლებლების მხარულმა და სიყვარულით სავსე დახვედრამ სიხალისე და სითამამე შემატა პატარებს...

ეს სათაური შემთხვევით არ შეგვიჩვენია, იყო დრო, როცა „სწავლა მოსწავლეთას“ ნახევარ ტექსტს ზეპირად ვსწავლობდით. ასე მოითხოვდა სასწავლო პროგრამა. არა მგონია, დღეს (დღეს კი არადა, უკვე რამდენი ხანია) ეს მოთხოვნა ხარისხიანად სრულდებოდეს.

კომპიუტერით ჩაბჭირებულ მოსწავლეს იმდენი ნებისყოფა ჰქონდეს შერჩენილი, რომ ნიგნს ჩაუჯდეს და შერჩეული სტროფები დაიზეპიროს.

შპს „ცოდნის“ წარმატება არ დგას. შეიძლება სასწავლო პროგრამა არ იძლეოდეს ამის გასაქანს, მაგრამ იმდენი კლას-გარეშე ღონისძიება ტარდება, ლიტერატურული განათლების პრობლემა მოგვარებული მგონია. არ იფიქროთ, ქართული ენა-ლიტერატურის სწავლებას ეხებოდეს ეს მხოლოდ. ყველა საგანში ასეა.

დიდა შპს „ცოდნის“ წარმატებამიღწევები. ეს იმიტომ, რომ აქ მოღვაწეობენ: ძლიერი პედაგოგები, დიდი დირექტორი **ნაზი ნადირაძე**, მისი ნიჭიერი მოადგილეები: **ნუნუ მელქაძე** და **რუსუდან ფარეხელაშვილი**. ადმინისტრაციის



5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა!

გილოცავთ!



პირველი მასწავლებელი

რამდენი ხანი გავიდა, დღესაც მასწავლებელს ნათლად, პირველი გაკვეთილის საოცარი გაცნა.

პირველი მასწავლებლის მშვიდი, სათნო სახე, ფიქრიანი თვალები სიყვარულით სავსე.

სულში როგორ გვწვდებოდა ყველა მისი სიტყვა, როგორ დაგვამეგობრა „დედა ენის“ წიგნთან.

როგორ შემოდიოდა, ჩვენში ნება-ნება, ბუნების სიყვარული და მამულის მცნება.

როგორ შევცივინებდით ჩვენს სულიერ მოძღვარს, მისი შეგონებანი დღემდე როგორ მომყვია.

ლეილა ვადაჭკორია

დეაშვილი — შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, **ანი უმეკაშვილი** — შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, **პეტრე სიჭინავა** — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **გიორგი თედეშვილი** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ანა ხურცილავა** - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი.

შარშანდელი სასწავლო წელი დასამხსოვრებელი იყო საინტერესო სასკოლო ღონისძიებებითა და განსაკუთრებით აღსანიშნავია სასწავლო წლის ბოლოს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ ორგანიზებული მასშტაბური ღონისძიება „შალომ, საქართველო...“ (პროექტის ავტორი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი **დარეჯან ცხომარია**; სასცენო დეკორაციების ავტორი ხელოვ-

მოკალაობის ბრძნობით დაეხსოვნენ



ეს სკოლა ძალიან მიყვარს. ნათქვამია: ჯერ თავი და მერე სხვაო. ასე, რომ ჩემი დაფინანსება ამ სკოლაში რამდენიმე წელი ვიმუშავეთ მე და ჩემმა კოლეგებმა. ჩვენი მე-15 სკოლის ავარიულობის გამო ბატონმა ზურაბ ჩხაიძემ დროებით შეგვიკვდილა. მართალია, საკუთარი დირექტორი გვყავდა, მაგრამ მასპინძლისგან ისეთ გულის სითბოს ვგრძნობდით, მალე დაუფემგობრდით სხვა კოლექტივს. ცოტა რამ ისტორიისათვის: როგორც ამბობდნენ, შაშკინი შეგვპირდა, ხარჯთაღრიცხვა მზადაა და მალე ახალ შენობაში შეხვალთო, მაგრამ აი, ბედის ირონია! როგორც დავით კლდიაშვილი იტყვოდა, მინისტრმა გაგაცუცურა. თურმე სკოლა ბიზნესმენ სამადაშვილისთვის მიუყიდნია. მალე თავად დაერივნენ ერთმანეთს. ამით ისარგებლეს ცხინვალის დეველოპმენტმა და...

დღეს, ამირან მათიაშვილის, რომან მოსეშვილის, გულიკო ჯამაშვილის სკოლასთან რომ გავივლი, გული სევდით მეფეება, ჩემი საკლასო ოთახების კედლები, სადაც 30 წელი გაკვეთილებს ვატარებდი, გამურულია, დეველითა საცვლები ფრიალებს. კიდევ რატომ მიყვარს ზურაბ ჩხაიძის სკოლა? იმიტომ, რომ აქ ნაღდი, ძლიერი პროფესიონალები

იღწიან დირექტორ-პედაგოგები-ანად მთელ ადმინისტრაციასთან ერთად. დღეს მოდარია სიტყვები: „გამოხატვის თავისუფლება“, „უფლებები და მხოლოდ უფლებები“. ათასი ერთხელ თუ ვინმეს წამოსცდება (წამოსცდება-მეთქი!) მოვალეობა, პასუხისმგებლობა. არადა, უერთმანეთოდ ეს ორი ცნება ვერ ძლებს. სკოლის დირექტორი ზურაბ ჩხაიძე, მისი მოადგილე ლია ჯანიშვილი, პედაგოგები სწორედ ამ უფლება-მოვალეობის მოტივით არიან დაეხსოვნენ. ამას სკოლიდან გამოგზავნილი სასწავლო წლის დაწყების მაუწყებელი მოკლე ინფორმაცია ადასტურებს.

*** ასე დაფინანსდა

სკოლა ძირითადად მზად შეხვდა ახალ სასწავლო წელს, შეს-



რულდა სკოლის სახურავის, ფასადის, მე-3 და მე-4 სართულების საკლასო ოთახების რეაბილიტაცია (დაახლოებით 520 000,00 ლარის სამუშაოები) სკოლა სრულადაა დაკომპლექტებული შესაბამისი კვალიფიკა-

ციის და სტატუსის (უფროსი და წამყვანი) მასწავლებლებით, აშუამად სკოლაში მუშაობს 64 უფროსი და 3 წამყვანი (მარიამ ფირანიშვილი, მანანა გადელია, ლალი ხუროძე) მასწავლებელი. ზაფხულში რამდენიმე მასწავლებელმა ჩააბარა გამოცდა და ახლა ახორციელებენ სხვა აქტივობებს წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსის მისაღებად.

გასული სასწავლო წლის 127 კურსდამთავრებულიდან 12 ოქროს (ანა ბოხუა, ილია ყუყუნაშვილი, მარიამ ბესტავაშვილი, ეკატერინე კაპანაძე, ნატალი მეტრეველი, ალექსანდრე მაისურაძე, ნანა კასრელიშვილი, ნიკოლოზ ჯოხაძე, საბა ანთია, ილონა კილასონია, ნინო სამხარაძე, მარიამ რობაქიძე) და 3 ვერცხლის (დაჩი კიბაიძე, სალომე ბუჯირიშვილი, ანა ხუციშვილი) მედალოსანია. ორი უფროსკლასელი ოქროს მედალოსანი ამავე დროს მოსწავლეთა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის

გამარჯვებულია (მარიამ ბესტავაშვილი (საგნის მასწავლებელი ნაირა ბერიაშვილი) მე-3 ადგილი - ილია ყუყუნაშვილი (საგნის მასწავლებელი ნატალია გილიგაშვილი), სკოლის კურსდამთავრებულითა საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა



წარმატებით დაძლია ეროვნული გამოცდები და სხვადასხვა პრესტიჟული უნივერსიტეტების (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი და სხვ. სტუდენტები გახდნენ (მათ შორის რამდენიმე მათგანმა 100% გრანტი მიიღო)

სკოლაში წარმატებით ხორციელდება eTwinning სხვადასხვა პროექტი. მასწავლებლების ქეთევან კობახიძის და რუსუდან მგელაძის ხელმძღვანელობით განხორციელებულმა რამდენიმე ასეთმა პროექტმა ევროპული ჯილდოებიც დაიმსახურა.

მიუხედავად სპორტული ინფრასტრუქტურის არქონისა სკოლის ფეხბურთელთა გუნდი წარმატებით გამოვიდა მოსწავლეთა მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა 2022 გათამაშებაში, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სააფთიაქო ქსელი

„პსპ“ მხარდაჭერით და პატრონაჟით მიმდინარეობდა და თბილისის, რუსთავის საჯარო და კერძო სკოლების 100-მდე გუნდში დაიკავა მე-3 ადგილი, ხოლო ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი და გუნდის მწვრთნელი გიორგი კალანაძე ტურნირის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

სკოლას კვლავ აქვს პრობლემები ინფრასტრუქტურის კუთხით, კერძოდ სარეაბილიტაციო პირველ და მეორე სართულზე საკლასო ოთახები. რაც მთავარია დასამთავრებელია სკოლის სპორტული და სააქტო დარბაზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც 13 წელზე მეტია გრძელდება. იმედი გვაქვს, ეს პრობლემები დროულად მოგვარდება.

ამ თითქოსდა მშრალი ციფრების უკან მჩქეფარე, მუხლჩაუხრელი შრომა დგას. გილოცავთ ახალ სასწავლო წელს და დიდ, შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ, 207-ე სკოლელებო!

ბორის მიშველაძე,
საქ. დამს. უფრანლისტი

შპს „ცოდნის“ საქმიანი საბირონია

„მაშინ ისარებს მნიშვნავი, ოდეს მოითვლის მტკუნებას“

პირველი გვერდიდან

ნების მასწავლებელი ნათია მესხიშვილი, რომელიც მიედღვნა ქართველი და ებრაელი

ფრანკის დილორიდან, აგრეთვე მარკ შერმანის ფილმიდან „ბიჭი ზოლიან პიჟამაში“. საღამოს ესწრებოდნენ გლდან-ნაძალადევის რაიონის გამგეობის წარმომადგენლები, აკადემია

ლის კულტურული ცხოვრების ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაინერება.

გასული სასწავლო წელი ნაყოფიერი და წარმატებული იყო არა მარტო მოსწავლეთათვის, არამედ სკოლის მასწავლებლებსთვისაც — ამ ზაფხულს „ცოდნას“ ორმა მასწავლებელმა (გულო ბაჩალიაშვილი, სალომე ქევიშიშვილი) მასწავლებლეთა გამოცდაზე დაადასტურა წამყვანი მასწავლებლის, ერთმა კი (თამარ ოქრიაშვილი) — მენტორი მასწავლებლის კომპეტენცია; სკოლის ყველა უფროსმა მასწავლებელმა გაიარა პროფესიული განვითარებისათვის სავალდებულო 20 საათიანი ტრენინგი.

ასე რომ, სკოლა „ცოდნას“ მასწავლებლები ჯონ კოტონ დანას სიტყვებს ითვალისწინებენ და ბედავენ რა სწავლებას, თვითონაც არასოდეს წყვეტენ სწავლას... და ასე, სკოლა „ცოდნაში“, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, 28 წლის წინათ დადგმულ აკვანს დღემდე არწევენ დახელოვნებული ოსტატები, ოღონდ დასაძინებლად კი არა,



გასაზრდელად, გასაღვიძებლად... და ჩვენ, მასწავლებლები, იმედსაც ილიასეულს ვიტოვებთ — „ცოდნაში“ აღზრდილი თაობები სიკეთეს მოუტანენ თავიანთ ოჯახებსაც და ჩვენს საერთო მამულსაც... მამ, ჩვენი გამარჯვებისა იყოს!..

უყოვიდო, უსაფრთხო. გვეყო, რა შიში, საშინელები, გამოვიარეთ დამოკლეს მახვილის ქვეშ ამ სამი წლის მანძილზე.

პატივისცემით, კეთილი სურვილებით, თქვენი კოლეგა **ბორის მიშველაძე**

ლია გაზაძე,
სათუნა ბრძალიძე
ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებლები.

P.S. რედაქტორის მინაწერი: რედაქციის სახელით მადლობას ვუხდით ასწავლეს მიღწეულ მასწავლებლეთა გაზეთ „სახალხო განათლებაში“ შემოქმედებით თანამშრომლობისათვის, მხარში დგომისათვის, დახმარებისათვის დირექტორ ნაზი ნადირაძეს, ყველა პედაგოგს, „ცოდნის“ ყველა მუშაკს.

გილოცავთ ახალ სასწავლო წელს, „ცოდნელებო!“ უფრო წარმატებული ყოფილიყოს იგი,



ხალხების ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორიას. ღონისძიების ფარგლებში მოსწავლეებმა გააცოცხლეს სცენები „ანა

„გვირილას“ ხელმძღვანელი ერნა ნიფური, მოსწავლეთა მშობლები, ონლაინრეჟიში ისრაელიდან ჩაგვეერთო ბ—ნი ჯამლეტ ხუბაშვილი და მისი მეუღლე ევა ბადალაშვილი. სკოლის მოსწავლეთა მიერ მალალი ოსტატობით ნათამაშებმა როლებმა ალტაცებამი მოიყვანა მოწვეული სტუმრები. ეს ღონისძიება სკო-



პატარებმა არეპარე ბაამხიარულეს



თბილისის 29-ე ბაგა-ბაღის ეზო აფრიამულებული და გახალისებული დამხვდა. ორწლიანი პანდემიისა და მკაცრი რეგულაციების შემდეგ, საბავშვო ბაღი ჩვეულ ცხოვრების რიტმს დაუბრუნდა, 29-ე ბაგა-ბაღი მართლაც, რომ გამორჩეული საბავშვო დაწესებულებაა, მის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჯგუფები გადატვირთულია და მსურველ-

ტარებს, მშობლების შენობაში შესვლაც დასაშვებია. ბავშვების უსაფრთხოება, სანიტარული წესების, ჰიგიენის დაცვა და კვება აქ უმთავრესია, რასაც თავად დირექტორი **ლალი ნოზაძე** მკაცრად აკონტროლებს. ბაგა-ბაღი დაკომპლექტებულია პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური კადრებით. თანამშრომლებს ერთმანეთთან მეგობრული და თბილი დამოკიდებულება აქვთ და რაც მთავარია, კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.


ქალბატონი **ლალი ნოზაძე**, უკვე 44 წელია შესანიშნავად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას, მისი ღვაწლი მართლაც უდიდესია მომავალი თაობის აღზრდის საქმეში, მას აფასებენ, კოლეგები, მშობლები და მადლიერი აღზრდილები, რომელთა რიცხვი ძალიან დიდია. როგორც თავად ამბობს: ნახევარი ბაღი ჩემი აღზრდილების შთამომავ-

მაც გამოიარა ურთულესი პერიოდი და შეძლო იგი ერთ-ერთ პრესტიჟულ დაწესებულებად ექცია. იგი ოთხი შეილისა და 15 შვილიშვილის ბებიია. საამაყო ის ფაქტი, რომ ქალბატონი ლალი მსოფლიოს ჩემპიონის **რამაზ ნოზაძის** დედაა.

ლალი ნოზაძე: ბაგა-ბაღების თანადგომით და **კახაბერ გვანცელაძის** მხარდაჭერით, საბავშვო დაწესებულებაში ყველაფერი მონესრიგებულია, ინფრასტრუქტურა განახლდა და ბაგა-ბაღი აღიჭურვა ყველა საჭირო ინვენტარით, მეთოდური სახელმძღვანელოებით, სათამაშოებით, სამზარეულოს ტექნიკით და ა.შ. ჩვენი ბაღი საკმაოდ მრავალრიცხოვანია, გვყავს 10 ჯგუფი და ბავშვთა რაოდენობა სულ 515, მსურველთა რიცხვი კი, გაცილებით მეტია. მოგესვენებათ, ერთ-ერთი პრესტიჟული ბაღია და ბევრ მშობელს უნდა ჩვენთან შვილები მოიყვანოს. კვება შესანიშნავია, მენიუ მრავალფეროვანია, დაცულია კალორიულობა, ცილების და ცხიმების რაოდენობა. ვიღებთ მაღალი ხარისხის პროდუქტებს. საბავშვო ბაღში სიახლეა და ჩამოყალიბდა: საფრთხის ანალიზისა და კრეატიული საკონტროლო წერტილების სისტემა - HACCP „ჰესპი“, რომელიც მოიცავს შემდეგი საკითხების მონესრიგებას: სურსათის უვნებლობა, პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ჰიგიენისა და სადენზიფექციო საშუალებების კონტროლი, პერსონალის ტრენინგი, სტუმრების აღრიცხვა, მავნებლობის



მშვიდი გარემოა შექმნილი. დირექტორთან ერთად მუხლჩაუხრელად შრომობს ბაღის თითოეული თანამშრომელი, მოადგილე **გულნაზ შიუკაშვილი**, მეთოდისტი **ნანა ლონიაშვილი**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ნინო ჭანკოტაძე**, საქმის მწარმოებლები: **მარიკა ჩხაიძე**, **ლელა ჭუმბურიძე** და **ანა ზარიძე**, ფსიქოლოგი **ნატალია**



სამხარაული, **სუზანა პეტროსიანი**, **ირმა ასიტოვა**, **თეონა დვალიშვილი**, **თამარ გოცირიძე**, **ვენერა ქვეციშვილი**, **ნათია ჯაშიაშვილი** და **თამარი კუსიანი**. საბავშვო ბაღის კვება საიმედო ხელშია და მათ გემრიელ კერძებს უმზადებენ მზარეული **სოფიო ხმალაძე** და მისი დამხმარეები: **თათუშა ცაავა**, **ნანი ლეონიძე**, **დარეჯან ბლიაძე** და **ნინო მუზაშვილი**.



თა რაოდენობა სულ უფრო მატულობს. საბავშვო ბაღს არაერთხელ გადაეცა სიგელი წარმატებული მოსწავლეების აღზრდისთვის.

საბავშვო ბაღის აღსაზრდებისთვის აქ ეზო და სათამაშო მოედანი სრულად მონესრიგებულია, უხვად არის მარადმწვანე მცენარეები, დამონტაჟებულია საქანელები და შემოგარენი მოხატულია სხვადასხვა ზღაპრის პერსონაჟებით. შენობის გარე ფასადი და შიდა ინტერიერი გემოვნებით და ესთეტიურად არის გაფორმებული. განთავსებულია სხვადასხვა თვალსაჩინოება, საინფორმაციო დაფა, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, მშობელთა წინადადებების ყუთი, ჰიგიენის წესებისა და კვების მენიუს განრიგი. გასულ წელთან შედარებით კოვიდ რეგულაციები შემსუბუქდა, პირბადეც აღარ არის აუცილებელი და თერმოსკრინინგიც აღარ უტარდებათ პა-

ლობაო და ეამაყება, რომ ასეთ ჰუმანურ და საპატიო საქმეს ემსახურება. ძალიან უყვარს აღსაზრდელები და საბავშვო ბაღი საკუთარ ოჯახად მიაჩნია. ღვაწლმოსილი დირექტორი



დიდი პასუხისმგებლობით არის განმსჭვალული, ყველაზე ადრე მიდის სამსახურში და ყველაზე გვიან ბრუნდება სახლში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 29-ე ბაგა-ბაღის აღორძინება და წინსვლა სწორედ, ქალბატონ ლალის დამსახურებაა, რომელ-

ინსტრუქციები და სხვ. სამუშაო ჯგუფი ხუთი ადამიანისგან დაკომპლექტდა და მას ხელმძღვანელობს სასწავლო ნაწილის კოორდინატორი და ექთანი **ზოია ჭანკვეტაძე**.

აქ სულ 70 თანამშრომელია და ძალიან მეგობრული,




დალაქიშვილი, ლოგოპედი **ნანი ჯილეჯავა** და **მაია შიხიაშვილი**, სპეცპედაგოგები: **ლალი ჭანტურიძე**, **მაია ბაისონიშვილი** და **ნანა მინაშვილი**. ცეკვის მასწავლებელი **ნინო პაპავა**, მუსიკის პედაგოგები: **მარიამ ბასოშვილი** და **მაია მირიანაშვილი**.

პატარებს ყურადღებას არ აკლებენ აღმზრდელები: **მარინე ლაზარიაშვილი**, **მარინე ნაჭყებია**, **ნინო ბუჯიაშვილი**, **ნინო ხუჭუა**, **ნინო ხარებაშვილი**, **ევგენია კირაკოსიანი**, **ნათია ფურცელაძე**, **მაკა მემარნიშვილი**, **ქრისტინე მანუკიანი**, **ლია ზალიშვილი**, **ეკატერინე ნურნუშია**, **მანანა მარტყოფილიშვილი**, **ინა ფურცელაძე**, **ლელია შანშიაშვილი** და **თამარი მოხევიშვილი**. მათ მხარში უდგანან აღმზრდელის თანამშენებები: **ნატალია ხარებაშვილი**, **ტატანა სომხიშვილი**, **ნინო კანთელაშვილი**, **ქეთევან ამირჯიბი**, **კარინა მათევოსიანი**, **თინათინ კირაკოზაშვილი**, **ვიოლეტა სარქისიანი**, **მარიკა გუმბურიძე**, **ირინე კურაზიანი**, **ნანი**

დირექტორი კმაყოფილია ტექნიკური პერსონალის მუშაობით და მაღლიერებით მოიხსენიებს თითოეულ მათგანს, ესენია: **მაისა სარქისიანი**, **ერიკნაზა სარქისიანი**, **ნათელა ცინარიძე**, **ზზია იმედაშვილი**, **მარიამ ციყელაშვილი**, **ნანული აღსაზიშვილი**, **ინა ვორონინა**, **ზამირა ტოტიკაშვილი**, **მანანა ბაზერაშვილი**, **ინგა პერიონი**, **ნანა მახიტაშვილი**, **ასმათი ჭუმბურიძე** და **ანა ქიზიყურაშვილი**.

29-ე ბაგა-ბაღში, პანდემიამდე ყოველწლიურად იმართებოდა სეზონური ღონისძიებები და სხვადასხვა აქტივობა, საბედნიეროდ, წელსაც განახლდება ტრადიციული შემოქმედებითი ზეიმები. სულ მალე კი, პატარები „შემოდგომის გაცილების“ ღონისძიებას გამართავენ. წარმატებულ და ნაყოფიერ სასწავლო წელს ვუსურვებთ საბავშვო ბაღის მესვეურებს და აღსაზრდელებს.

ზოია გოგოძე



„სანთელი“ როგორც ცოდნის მანათობელი

ახალ სასწავლო წელს მომზადებული შეხვდა სკოლა-ლიცეუმი „სანთელი“, რომელიც სამგორის რაიონში, გ. მუხაძის ქუჩაზე (№15) მდებარეობს და უზენის მოსახლეობისთვის მართლაც დიდი საჩუქარია, როცა ასეთი მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული სკოლა არსებობს. რაც მთავარია, სკოლა შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და მას სათავეში უდგას, განათლების დარგში გამოცდილი სპეციალისტი, შესანიშნავი პედაგოგი ვასილ ჯანიაშვილი.

საგულისხმოა, რომ სკოლა-ლიცეუმი მდებარეობს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, 400 კვ.მ. ეზოში, რომელიც მოსწავლეებისთვის წარმოადგენს სასიამოვნო მყუდრო, უსაფრთხო სივრცეს. სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენებულია ყვავილოვანი და მარადმწვანე მცენარეები. კაკლისა და ვაზის ხეივანები, მოასფალტებულ ტერიტორიაზე მოწყობილია და ფუნქციონირებს ფრენბურთის, კალათბურთის და ფეხბურთის მოედნები. ამას გარდა, სკოლას აქვს ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარბაზი, სადაც განთავსებულია „შედეგური კედელი“. ცალკე სივრცეში განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთის, კრივის და ბაგირის (ცოცვისთვის) აღჭურვილობა. მოწყობილია სტანდარტის შესაბამისი სველი წერტილები,

მათ შორის სსმ მოსწავლეთათვის.

ალსანიშნავია, რომ სკოლა-ლიცეუმის დაარსების დღიდან ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი,



მადონა ბარამია მე-9 კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილის მსვლელობისას

სათანადო რეაქტივებით, თვალსაჩინო მასალებით აღჭურვილი ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორია. მოსწავლეები ჩართულნი არიან კრივის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის სპორტულ სექციებში.

ამჟამად, 1-ელ კლასში ირიცხება 6 მოსწავლე, სადაც მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის

შესაბამისად ტარდება ჭადრაკის გაკვეთილები.

პედაგოგიური კადრების შერჩევა ხდება ღია კონკურსის შესაბამისად. დღეისათვის, პედა-



გოგების 95% აკმაყოფილებს ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გასულ სასწავლო წელს 9 მოსწავლემ დაამთავრა მე-12 კლასი, აქედან უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 7 მოსწავლე საშუალოზე მაღალი ქულებით, მათ შორის 3 მედალოსანი გახლდათ.

როგორც დირექტორმა აღნიშნა, სკოლა-ლიცეუმში ახ-


ალი სასწავლო წლის დაწყება ტრადიციულად, საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობს. პირველ კლასელებს გადაეცათ ნიგნები და საჩუქრები, წარჩინებულ მოსწავლეებს კი, სიგელები და დიპლომები.

დირექტორი ვასილ ჯანიაშვილი, სკოლა-ლიცეუმის ადმინისტრაცია, პედაგოგიური მიესალმება „საქართველოს ისტორიის“ როგორც დამოუკიდებელი საგნის ცალკე სწავლებას და აქვე აუღერებს მოკრძალებულ თხოვნას რომელსაც უცვლელად გათავაზობთ:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თხოვნა ჩვენი მოკრძალებული თხოვნა (როგორც ყველა კერძო სკოლა) იქნება:

1. სკოლა-ლიცეუმი მდებარეობს ქალაქის გარე უბანში, მასწავლებელთა უმრავლესობას სკოლაში მოსასვლელად სჭირდებათ 2,3 ტრანსპორტის გამოცვლა. იქნებ დაგვეხმაროს განათლების სამინისტრო და სათანადო ორგანოების წინაშე დავსაყენოთ, რათა კერძო სკოლის მასწავლებლების მგზავრობის ღირებულება გაუთანაბრდეს, საჯარო სკოლის მასწავლებლების მგზავრობის საფასურს.

2. მრავალი წელია ფინანსთა სამინისტრო, განათლების სამინისტროსთან ერთად ერთობლივად გვპირდება, რომ კერძო სკოლების მოსწავლეთა ვაუჩერუ-



ქიმიის მასწავლებელი - მარინა ნაღარაია ექსპერიმენტის ჩატარების დროს

ლი დაფინანსება გაუტოლდება საჯარო სკოლების მოსწავლეთა დაფინანსებას, მაგრამ დღემდე ეს საკითხი არ გადაწყვეტილია.

პატივისცემით დირექტორი: ვასილ ჯანიაშვილი.

იმედს ვიტოვებთ, რომ სკოლა-ლიცეუმის ადმინისტრაციის აღნიშნული თხოვნა რეაგირების გარეშე არ დარჩება და არსებული პრობლემა აღმოიფხვრება.

აზია გომოძე

166-ე საბავშვო ბაღის პრიორიტეტები

უმთავრესია - აღსაზრდელების წინსვლა და განვითარება



სასიხარულოა რომ ბავშვები ისეთ კეთილმოწყობილ და საინტერესო გარემოში იზრდებიან, როგორც 166-ე ბაგა-ბაღია. აქ პატარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი და სააღმზრდელო პროცესი შესანიშნავად მიმდინარეობს. ბაგა-ბაღის მიღწევებსა და არსებულ მდგომარეობაზე თავად დირექტორი შორენა პარუნაშვილი მოგვითხრობს:

შორენა პარუნაშვილი: სასწავლო წელს 166-ე ბაგა-ბაღის „მერმისი“-ს თანამშრომლები შემართებით და ახალი ენერგიით შეხვდით. მოგეხსენებათ, პანდემიის პერიოდში ხშირად ჩერდებოდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, თუმცა, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები მაინც განხორციელდა. ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის კახაბერ გვანცელაძის მხარდაჭერით, განახლდა და შეიცვალა წყალგაყვანილობის მიწები, გალამაზდა და შეიღება შენობის შიდა სივრცე, ფასადი, მოეწყო სპორტულ-გასართობი მოედანი, უსაფრთხოების მიზნით

დანახვის საშუალება. დირექტორის თქმით, 166-ე ბაგა-ბაღში დაცულია უსაფრთხოების ზომები, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური თვალსაზრისით. უზრუნველყოფილია თითოეული ბავშვის პირადი ჰიგიენის ნორმები, რასაც კოორდინირებას უწევს ნატო მიროტაძე და თამილა მამაგულაშვილი. თანამშრომლები ზრუნავენ აღსაზრდელებისა და ერთმანეთის ემოციური უსაფრთხოების დაცვაზე. იცნობენ ბავშვის უფლებათა კონვენციას, ასევე ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს და შეუძლიათ ძალადობის სახეების ამოცნობა, რასაც მეთვალყურეობას უწევს და უპირობო სადარაჯოზე დგას ბაგა-ბაღის დირექტორის მოადგილე ნინო ოდიკაძე.

ალსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროცესი თამაშზე დაფუძნებული კურიკულუმით მიმდინარეობს, სასკოლო მზაობის ჯგუფებში ეროვნული კურსით „უ რ ი კ უ ლ უ მ ი თ -“, თ ა მ ა შ ი, „რომელიც უზრუნველყოფს აღსაზრდელის წინსვლას განვითარების ყველა სფეროში (ფიზიკური და სენსორული



განვითარება, სოციალურ-ემოციური განვითარება, კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება, შემეცნებითი განვითარება, დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება), რაც ასევე ითვალისწინებს მრავალფეროვან, განმავითარებელ, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობას, როგორც ბაღის შენობაში, ისე-ეზოში. დღის განრიგში ერთმანეთს ენაცვლება აქტიური და ნაკლებაქტიური საქმიანობები, რაც ზრდის თამაშის შესაძლებლობას როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში, ასევე მცირე და დიდ ჯგუფებში. დღის განრიგი ასაკის შესაბამისა და კვირის გეგმა მოქნილია. საგანმანათლებლო პროცესი იგეგმება პროგრამის მიზნების, ბავშვის საჭიროებების, შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით. აღმზრდელები და აღმზრდელის თანამშრომლები იყენებენ თამაშით სწავლების თანამედროვე მიდგომებს, ხელმძღვანელობენ პოზიტიური გაძლიერების პრინციპებით. ყველა ამ პროცესს კოორდინირებას უწევს მეთოდისტიები: ინგა ჩაფიძე და დალი ნინუა.

166-ე ბაგა-ბაღში შესანიშნავად მუშაობს მულტიდისციპლინარული

გუნდი. გვყავს ოთხი სპეცპედაგოგი, ლოგოპედი და ფსიქოლოგი. ბაღში ირიცხება 19 სტატუსის მქონე აღსაზრდელი - სხვადასხვა განსაკუთრებული საჭიროებებით, ექვსი შშმ ბავშვია. პროგრამა ხელს უწყობს ამ აღსაზრდელთა ინკლუზიის პროცესს. დაკვირვება-შეფასების საფუძველზე მათთვის იქმნება ინდივიდუალური გეგმები ძლიერი მხარეების, საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ერთი სიტყვით, პატარებს აქ მზრუნველობა და ყურადღება არ აკლიათ. ბავშვთა აღზრდის მეტად საპასუხისმგებლო საქმეში, აქტიურად არის ჩართული 166-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მთელი კოლექტივი. დაწესებულების თანამშრომლები მათზე დაკისრებულ უფლებამოსილებებს კეთილსინდისიერად და ერთგულად ასრულებენ და მზად არიან გაიზიარონ ნებისმიერი სიახლე, რაც ბავშვების სასიკეთოდ იქნება მიმართული. ჩვენ ისლად გვგრძნობს, წარმატება ვუსურვოთ 166-ე ბაგა-ბაღის მესვეურთა და მათ აღსაზრდელებს.

ანანო სამელია

სახლოვნების მამიური სიბლი



იყო და არა იყო რა – ასე იწყება ქართული ზღაპრები. კი, ბატონო, არა იყო რა, მაგრამ ამ არა იყო რაში რაოდენი სიბრძნეა დაუნჯებული? ხოლო ზღაპარი რომ სინამდვილედ აქციო, ყმანვილებს, რომელთაგან უმეტესობა ვერანაირად შესწვდებოდა სა-

ნი, იქვე იქნება გული თქვენიო. ხელოვნების მე-19 სკოლის – ღირსეულად და დამსახურებულად რომ ატარებს დიდი მაცესტროს, ბატონ **ოთარ თაქთაქიშვილის** სახელს – თითოეული მუშაკის საუნჯე სწორედ აღსაზრდელებშია დაუნჯებული, სწორედ მათშია



ნუკვარ მუსიკალურ ინსტრუმენტს, ოცნება სინამდვილედ უქციო, მუსიკა, მისი ჯადო ჰანგები შეუსისხლხორცო და ცხოვრებაში მტკიცედ, თანაც, ნიჭისა და მისწრაფებების წილ დამკვიდრების უცილობელი პირობები შეუქმნა, განა, განხორციელებული ზღაპარი არ არის?

განზნეული. ამის დასტური – და ამაზე ხშირად წერდა ჩვენი გაზეთი – ის უამრავი ჯილდო და საერთაშორისო აღიარებაა, რაც სკოლას დაუმსახურებია. მხოლოდ ჩასაბერ ინსტრუმენტთა უნიკალური, ერთადერთი გოგონათა ორკესტრი რად ღირს. სავარაუდოდ, არ დარჩენილა საკავშირო, საერთაშორისო თუ რესპუბლიკური გამარჯვებულები, ლაურეატობები და ა. შ. რომ ამ განუმეორებელ ანსამბლს არ მოეპოვებინოს.

ჰოდა, ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო და რეალობად კი იქცა.

ნლეულს, ივნისში ორკესტრმა დაარსებიდან 45-ე წლისთავი კონსერვატორიაში აღნიშნა. მას დირიჟორობდა კომპოზიტორი, ბატონი **ალექსანდრე მწარიაშვილი** და შესრულებელი ნაწარმოებებიც მისი ორანჟირებით ახმიანდა. გაერთიანებულ ანსამბლს კი ბატონი **სერგო**



ტყაბლაძე დირიჟორობდა. რაოდენ პატივია, როცა მუსიკის მეტრები მონონებით გისმენენ.



აგერ, ახლახან თბილისობის აღმნიშვნელ კონცერტზეც შვილებითურთ ეწვივნენ აღმზრდელ სკოლას ტუბაზე პირველი შემსრულებელი გოგონა **ნინო ჯამერაშვილი** და ფლეიტისტი **სოფიო ჩიტიაშვილი** – სამუსიკო სკოლების ისტორიაში პირველი სტიპენდიანტი და ბიგ-ბენის სოლისტი.

გამარჯვებულნი არიან; **ზორო მურადოვი** კი ევროკავშირის ეგიდით გამართულ მსოფლიო კონკურს „დახატე მშვიდობაში“ არავის დაუდო ტოლი – იპირველა.

გენადი ცისკარიშვილი „განდაგანით“ მქუხარე ტაში მოსწყვიტა მაყურებელს და თა-

ბრაზილიაში გამართულ მსოფლიო (გამოვკვეთავ – მსოფლიო!) ფესტივალზე **ნინო ჯამერაშვილი** ტუბაზე შემსრულებელი ერთადერთი გოგონა იყო და ეს ერთადერთობა განუმეორებლობად გარდასახა – მსოფლიო ფესტივალში გაიმარჯვა!

ეს, ცხადია, პედაგოგ **ხათუნა ფაჩულიას** დიდი დამსახურებაა. მისი აღსაზრდელების ბავშვური უშუალობით შესრულებულმა მშვენიერმა ნამუშევრებმა ეს ზემოც დაამშვენა.



თბილისობისადმი მიძღვნილ ზემს ესწრებოდნენ სამგორის რაიონის დეპუტატი, ბატონი **რევაზ სოსაძე**, რაიონის გამგებელი, ბატონი **კახა სამხარაძე**, 156-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი **თეონა აბულაძე**, 76-ე ბაგა-ბალის დირექტორი, ქალბატონი **ნატო გაბისიანი**, წმიდა ნინოს სახელობის ტაძრის დეკანოზი **მელქისედეკ ხვედელიძე**.

ბენდმა-19-მა, რომელსაც ჩვეული ოსტატობით დირიჟორობდა ბატონი **სერგო ტყაბლაძე**, ასევე ჩვეული ოსტატობით შეასრულა სხვადასხვა ნაწარმოები.

ვისი სახელწოდებით – „გენი“ – შეგვახსენა ვისი გორისანი ვართ, საიდან მოვდივართ და რომ ვერც რა და ვერცა ვინ

ბაგა-ბალი – სკოლა – ხელოვნების სკოლა. ეს „სამკუთხედი“ ძალზე მჭიდროდ,

სოლისტებმა: **ბარბარე ქარდავამ** (პედაგოგი – **ჯონდო თითირაშვილი**), **ნიკოლოზ გურაშვილმა** (პედაგოგი – **არჩილ ბაკურაძე**), **გიორგი ოთინაშვილმა** (პედაგოგი – **ნუგზარ ადუიშვილი**) დიდე-



შემოქმედებითად თანამშრომლობს. ნიჭიერი ყმანვილები – მუსიკა, ფერწერა, ცეკვა, ძირითადად, სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგად კვალიანდებიან და ხელოვნების მე-19 სკოლაში პოულობენ მონოდებას, რაც მათი წინსვლის მტკიცე საწინდარია. დასტური? ხატვის წრის წევრები: **ლევან გუგენიშვილი** და **ზორო მურადოვი** სამხატვრო აკადემიის სტუდენტები გახდნენ; **ნინო ჩაკვეტაძე** და **მარიამ არობლიშვილი** ჩეხეთში გამართული ორი საერთაშორისო კონკურსის

ბულად შეასრულეს ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

დაგვათმობინებს ქართველობას.

დებმა: **თეონა** და **თეკლე გიგაშვილებმა** (პედაგოგი – **თინა იმერლიშვილი**) წკრილა ხმებით მოხიბლეს და გაახალისეს ბლომად თავმოყრილი მაყურებელი; ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლმა (ხელმძღვანელი – **ვანდა ბლიაძე**) დიდებულად ააჟღერა მშობლიური ჰანგები;

და თბილისი რომ საქართველოს გულია! ეს დიდებული, თბილისობისადმი მიძღვნილი ზემოც მთლიანად ხელოვნების მე-19 სკოლის მოსწავლეთა ძალებით გაიმართა. ასე მრავალმხრივ ესთეტიკურად ზრდიან ყმანვილებს ამ მართლაც დიდებულ სკოლაში, სადაც ბავშვებს ზღაპარს რეალობად უქცევენ!

ქართული ცეკვის ანსამბლმა „გენმა“ (ხელმძღვანელები – **ინგა ცანდიშვილი** და

კონსტანტინა გურგენიძე

თბილისის 86-ე საჯარო სკოლას გულითადად ვულოცავთ სასწავლო წლის ახალ შენობაში დაწყებას!

სიტყვა და საქმე როცა პირობები მოთხოვნების შესატყვისია



რკინის კანცლერ ოტო ფონ ბის-მარკს უთქვამს, ვინც სკოლების მშენებლობაზე ეწევა ეკონომიას, მას ციხეების აშენება მოუწევსო. იცოდა მრავალნაწიადმა დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ, დაქუც-მაცეხული გერმანია ერთ მძლავრ სახელმწიფოდ რომ გააერთიანა, რასაც ამბობდა.

სწორედ სკოლაა მორალურად და ზნეობრივად ჯანსაღი, მცოდნე თაობების აღზრდის საფუძველთა საფუძველი და მასწავლებლობაა ამქვეყნად უდიდესი და უმნიშვნელოვანესი პროფესია. პროფესია? არა, მონოდებაა. სულიდან და გულიდან მომჩქეფარე სიტობო, სიყვარული და თავდადება სამშობლოსათვის ღირსეული თაობების აღსაზრდელად, რადგან ამქვეყნად „არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა.“



სადაც მასწავლებლის ღვაწლი ფასდება, სადაც განათლებას სათანადო ყურადღება ექცევა, იქ ციხეები ნაკლებად შენდება. და როდენ სასიხარულოა, რომ პრემიერ-მინისტრის, ბატონ ირაკლი ლარიაშვილის ინიციატივით, დაინიშნება 800 სკოლის მშენებლობარეაბილიტაციის გრანდიოზული პროექტი, რისი ღირებულებაა 1 მილიარდ ლარს შეადგენს. პროექტის პირველი ეტაპი სექტემბერ-ოქტომბერში დაიწყო და ტენდერი 80 სკოლის მშენებლობასა და 320

სკოლის რეაბილიტაციაზე გამოცხადდა. კიდევ 400 სკოლის რეაბილიტაციის ტენდერი 2023-2024 წლებში გამოცხადდება და, საბოლოოდ, 2026 წლის ბოლოსთვის



დასრულდება. პროექტი საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, მათ გაუმჯობესებას

ანები მიიზიდებიან და ერთ სულ და ერთ ხორც იღვნიან დასახული მიზნის მისაღწევად. სწორედ ასეა 86-ე საჯარო სკოლაში, სადაც ერთი რწმენითა და ერთი გზებით ანთებული პედაგოგები, დირექტორის თაოსნობით, განუხრელად იღვნიან უდიდესი მისიის, სამშობლოს ღირსეული მომავლის აღსაზრდელად და, რადგან ეს „მომავალი“ ჩვენს თვალწინ ყოველდღიურად იზრდება და ყალიბდება, მასწავლებლებსაც ასევე ყოველდღიური მუხლწაუხრელი მუშაობა მართებთ და სწორედ ასე ირჯებიან. 86-ე სკოლა სამ წელიწადში დაინგრა და აშენდა. ნეტავ, რაიმე სიმბოლო თუ ძეგს? სკოლა 1933 წელს აშენდა და 2019 წელს დაინგრა. ანუ შენობა 86 წლისა იყო. 86 წლის ნაგებობა და 86-ე

უზრუნველყოფს და, მისი განხორციელებით, 230 000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს. შედეგად, 2026 წლის მიწურულს, ყველა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ინფრასტრუქტურულად სრულიად გამართული იქნება. რეაბილიტაციისა და ახალი სკოლების მშენებლობისას გათვალისწინებულია მათი აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. სახელდობრ, მოეწყობა თანამედროვე ლაბორატორიები, სპორტული ინფრასტრუქტურა,



ურთ ტერასითა და სარეკრეაციო სივრცით, სამზარეულოთი, სასადილოთი, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგების, კანალიზაციის, გათბობისა და ვენტილაციის სისტემებით აღჭურვილ-გამართული სკოლისათვის, სადაც ასეთ კომფორტულ, უსაფრთხო გარემოში ისწავლიან ყმაწვილები და პედაგოგებსაც ნაყოფიერი შრომისათვის დიდებული პირობები შეექმნათ, ნამდვილად ღირდა ასეთი ხარჯის განწევა. მით უფრო, რომ სკოლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტომ ეკოლოგიურად სუფთა მასალებით ააგო. სკოლის აგებამ ყმაწვილები-



სთვის კიდევ ერთი დიდი სიკეთე მოიტანა: ელიის დასახლებაში 86-ე სკოლა ერთადერთია. ძველ სკოლაში 302 მოსწავლე ჰყავდათ. მშობლებს სხვა, სახლიდან კარგა

მოწოდებული იყოს, თუ მუშაობის სათანადო პირობები არ ექნა, მასწავლებლის მარგი ქმედების კოეფიციენტი განუვლი შრომის ტოლფასი ვერ იქნება. 86-ე სკოლის 41-ვე მუშაკი, რომელთაგანაც 28 მასწავლებელია (6 – წამყვანი, 21 – უფროსი, ერთი – მონწეული), დირექტორის ნანა ქაჯაიას ხელმძღვანელობით, ვინც უპირველესად, თავს სწორედ პედაგოგად აღიქვამს, პედაგოგად, ვისაც, თანამდებობის შესატყვისად, კოლეგებზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, ხიზნობისასაც ახერხებდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვას და, ცხადია, ახლა, როცა შემოქმედებითი შრომის შეუღარებლად უკეთესი პირობები აქვთ, სწორედ ამ პირობების შესატყვისად წარმართვენ მუშაობას და ახალ-ახალ წარმატებებს მიაღწევენ ღირსეული თაობების აღზრდის რთულსა და საპატიო გზაზე.

სკოლას ახალმოსახლეობა მიულოცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ბატონმა მიხეილ ჩხენკელმა. აღნიშნა, რომ ამ სასწავლო წლიდან ყმაწვილები საქართველოს ისტორიას დამოუკიდებელ საგნად

შეისწავლიან (ეს კარგა ხნის წინათ უნდა ყოფილიყო ასე!), პირველკლასელებს კი სავალდებულო საგნად ჭადრაკი დაემატათ. ასევე პირადად მიულოცა მასწავლებლის საერთაშორისო დღე 86-ე სკოლის პედაგოგებს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა, ბატონმა ლევან სუხიტაშვილმა. სწორედ რომ უპრიანი იყო ბატონი ლევანისთვის ეს მილოცვა — მისადმი დაქვემდებარებულმა სააგენტომ ააშენა ასე ხარისხიანად და დროულად სკოლა. პაგანიის სტრადივარის ვიოლინო რომ არ სჭეროდა, ასეთი ვირტუოზი შემსრულებელი მაინც ვერ იქნებოდა. რაგინდ

სკოლა... ამ სამი წლის მანძილზე 86-ე სკოლა 96-ე სკოლის ხიზანი გახლდათ და, სირთულეების მიუხედავად, ღირსეულად, ყველა მოთხოვნის შესაბამისად წარმართავდა რთულ სასწავლო პროცესს. ახლა კი 86-ე სკოლა ახალ შენობაში შეხვდა სასწავლო წელს. პროექტის ღირებულება 9 816 196 ლარზე მეტი იყო, მაგრამ ასეთი, 650 მოსწავლეზე გათვლილი, შიდა და გარე სპორტული მოედნებით, კლას-კაბინეტებით, რესურსთახვით, ექიმის კაბინეტით, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით, სააქტო დარბაზით, ბიბლიოთეკით, ნაწილობრივ გადახურული მრავალფუნქცი-



კონსტანტინე გურგენიძე
გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქცია გულითადად ულოცავს 86-ე საჯარო სკოლის შემოქმედ, მაძიებელ, მცოდნე და გამოცდილ პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის ახალ შენობაში დაწყებას!

არამ ხაჩატურიანის სახელობის ხელოვნების მე-10 სკოლა 90 წლისაა!

უცვლელია პედაგოგთა ღვაწლი და ამაბი



მუსიკას ოდითგანვე ღვთაებრივად ავიგებდნენ. მუსიკის ნიჭი ღვთაებრივი მადლია. ელინთა ხელოვნებისა და მზის ღმერთის აპოლონის ერთ-ერთი მუდმივი თანმხლები ხომ მუსიკისა და ლირიკული პოეზია მუზა ევტერპე იყო. ალბათ, სწორედ ამიტომ ერწყმის ხოლმე ასე ჰარმონიულად ერთმანეთს ჭეშმარიტი პოეზია და ჭეშმარიტი მუსიკა.

ხელოვნების სკოლების ერთი ამოცანა სწორედ მუსიკის გრძელვადიან სამყაროსთან ყმანვილების ზიარებაა.

რაოდენი ტაქტი, გულისხმიერება, ყმანვილების შინაგანი ბუნების წვდომის უნარია საჭირო, რომ სათუთად ამოანვიდნო და გამოამზეურო ყოველი ბავშვის არსიდან ღვთით ბოძებული, მაგრამ თავად ყმანვილთათვის ჯერაც გაუცნობიერებული ნიჭი, სწრაფვა და, სწორ კალაპოტში ჩაყენებული, ნაბიჯ-ნაბიჯ გამიზნულად ატარო

სკოლის უამრავი წარმატების ჩამოთვლაც კი ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას. მისი აღსაზრდელები ყოველწლიურად მონაწილეობენ ყველა ფესტივალსა თუ კონკურსში და, პედაგოგთა ძალისხმევით, ზუსტად რომ საზღვრავენ ყოველი ყმანვილის უნარს, შესაძლებლობებსა და მიდრეკილებებს და ისე ურჩვენ ამა თუ იმ მუსიკალურ ნაწარმოებს, შემდეგ კი თავდაუზოგავად მუშაობენ მათთან, რათა მოსწავლეები ჩასწვდნენ, გაითავისონ ყოველ მუსიკალურ ქმნილებაში დაუნჯებული იდუმალეზა და დიდებული

ლი, ბატონი ტარიელ ბერაძე, ვინც უკვე 44-ე წელია თავდაუზოგავად, შემოქმედებითად ემსახურება ყმანვილების მუსიკალური განათლების რთულ, ფაქიზ და საპასუხიმგებლო საქმეს.

ფერი-ფერსაო, ნათქვამია და ღირსეულ ხელმძღვანელს ასევე ღირსეული პედაგოგები უმშვენებენ მხარს.

და, აი, ხელოვნების ამ დიდებულ ტაძარს 90 წელი შეუსრულდა. ვინ მოთვლის, ამ ხნის მანძილზე რამდენი თაობა აღზრდიათ ამ სასწავლებელში. ცხადია, პედაგოგთა თაობებიც იცვლება.



შესრულებით გადმოაფრქვიონ, ალაფრთოვანონ მსმენელები.

წლობით გვიჭედვდნენ თავში, ისტორიის შემოქმედი და წარმართველი ხალხთა მასებია, კი, ესა თუ ის პიროვნება „ფაფხურობდა“ აქ-იქ, მაგრამ ისტორიის წარმართველი ძალა მასაა და მასაო. არადა, სწორედ ის-

მხოლოდ ერთი რჩებოდა და რჩება მტკიცედ შეუცვლელი – პედაგოგთა ოსტატობა და საქმისა და აღსაზრდელებისადმი მათი ერთგულეზა.

ამ თარიღის აღმნიშვნელი საზეიმო აკადემიური კონცერტი ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის



- „მოგონება“ - თამარ კაპანაძე VI კლასი, ლევან ღამბაშიძე VIII კლასი (პედაგოგი — თამარ ჯიბლაშვილი); მ. მამუკავსკი - „შემოდგომა“ - მარიამ გრიგალაშვილი, VI კლასი (პედაგოგი — ანა ტაბატაძე); ე. გრიგი - „მთის მეფის გამოკვებულში“ - სუტიტიდან „პიერ გიუნტი“ - ანამარია მეღვიანი, VIII კლასი (პედაგოგი — სვეტლანა ოსიპოვა); ა. პიაცოლა - „ლიბერტანგო“ - მარიამ ბეკურიშვილი, VII კლასი, ნინო რევაზიშვილი, VIII კლასი (პედაგოგი — ლალი ესიტაშვილი); ს. რახმანინოვი — ეტიუდ-სურათი, თხზ. 33. №8 — სოფი ქოქაშვილი, IX კლასი (პედაგოგი — ანა ტაბატაძე); ე. გრანადოსი — გოგსკა, №1 „გალანტური კომპლიმენტები“ — ანა კორახაშვილი, X კლასი (პედაგოგი — თამარ ჯიბლაშვილი); ფ. შოპენი — ფანტაზია-ექსპრომტი, თხზ. 66 — გიორგი გოგიტაძე, VII კლასი (პედაგოგი — რუსუდან მირზაშვილი); ფ. ლისტი — „მეფისტო ვალსი“ №1 — გაბრიელ ღამბაშიძე, XI კლასი (პედაგოგი — თამარ ჯიბლაშვილი).

უნდა კი თქმა, როდენი მონონება ხვდით წილად კონცერტის მონაწილეებს? ჩათავდა ზეიმი. გავა დრო. კვლავ შეიცვლება პედაგოგთა თაობები, მაგრამ კვლავაც მუდმივად დარჩება მათი ოსტატობა, მონდომება და ბავშვების სიყვარული.



მუსიკის ჯადოსნური სამყაროს რთულ, მაგრამ უზომოდ მადლიან და აღმფრენ გზაზე.

სწორედ ასე მუშაობენ მოსწავლეებთან არამ ხაჩატურიანის სახელობის ხელოვნების მე-10 სკოლის მასწავლებლები.

ხელოვნების ამ სკოლას უდიდესი ტრადიციები აქვს. ბრწყინვალე პედაგოგები, მუსიკოსები მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ ხელოვნების ამ ტაძარში, ხალხმა, სრულიად სამართლიანად, კონსერვატორიის ფილიალი რომ უწოდა.

ტორია დასტურყოფს საწინააღმდეგოს, რადგან ხშირად სწორედ პიროვნების როლია განუზომლად მნიშვნელოვანი ისტორიაში და სულაც არაა სავალდებულო პიროვნება რაიმე დიდ-დიდ საქმეს იყოს ჩაჭიდებული. მთავარია თავის ადგილზე ემუშაკოს ერთგულად სამშობლოს.

სწორედ ასეთთაგანია ხელოვნების მე-10 სკოლის დირექტორი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, მრავალი ჯილდოს, მადლობის, სიგელისა თუ დიპლომის მფლობე-

დიდ დარბაზში გაიმართა. ეს ხელოვნების მე-10 სკოლის მთელი კოლექტივის ღვაწლისა და ამაგის კიდევ ერთი აღიარება და დაფასებაა, ხოლო შესრულებული ნაწარმოებების სირთულე და მრავალფეროვნება ამ ღვაწლისა და ამაგის დასტურია: ლ. ვ. ბუთოვენი „Pie Lezu“ და ლ. ბარტის „Whu witt buy“

შეასრულა გუნდმა (ხელმძღვანელი — დარეჯან ჩხლაძე, კონცერტ-მაისტერი — თამარ თალაკვაძე); ი. ს. ზახი „არია“, შემსრულებლები, VII კლასის მოსწავლეები: ალექსანდრე და ანრი აკოფიანები (პედაგოგები — ვალენტინა შულიუტა და რუსუდან მირზაშვილი); ი. ჰაიდნი — სონატა №5 C-dur, I ნაწილი — ანრი აკოფიანი, VII კლასი (პედაგოგი — რუსუდან მირზაშვილი); ლ. ვ. ბუთოვენი — „რონდო“, სონატა №8, III ნაწილი — ანა გრატიაშვილი, VII კლასი (პედაგოგი — სვეტლანა ჯიქია); ვ. ა. მოცარტი — ბარბარინას არია ოპერიდან „ფიგაროს ქორწინება“ — თამარ გაბედავა, IV კლასი (პედაგოგი — თამარ ლოზიანიძე, კონცერტ-მაისტერი — მაყვალა ხორბალაძე-ლაშქარაშვილი); ო. თაქთაქიშვილი — „ბერიკაობა“ - სალომე მიქელაძე, IV კლასი (პედაგოგი — ივეტა მერაბიანი); პ. ლაველლე - „პუბლები“ - ელენე აბრამიძე, V კლასი (პედაგოგი — ლალი ესიტაშვილი); ვ. აზარაშვილი



კონსტანტინა ბურკენიკა

წინაქცეპურტები

ნიჭის ფასი

თუ არ გაქვს მართვის ნიჭი, ველარავინ ვერ გიშვლის, ვერც მერკელი, ვერც ჰერცელი, ვერც მიხო და ვერც მიშელი.

არ დაილაღე ამდენი დავით, შენ, ძმაო, უსუფაშვილო დავით?

ინფაციონისტის რჩევა

თუ კი გინდა ეს ვერაგი ინფექცია აიცილო, ბევრი უნდა იმოდრაო, ბევრი უნდა გაიცინო.

გამოცანა
გერმანელები არიან შოლცი, შერცელ-მერკელი, ამერიკელები კი — ბუში, დეგანს, კერ-კელი. გვეკითხება მეგრელი, რა არისო „პერკელი“.

პრაიმნიუსში

რუსთაველსაც აფორიზმი როდის უთქვამს ამდენია, ხუხაშვილიც „ბლიცპასუხში“ რომ არს ამის ჩამდენია.

შეკითხვა
ჯაფარიძეთა გვარში სასახელო-საამაყონი არიან: უცა, მედეა, რევაზი, გიგა, შალვა ჯაფარიძეები. შეკითხვა: შეიძლება თუ არა, ამ თანავარსკვლავედის წევრად შევიყვანოთ გირჩი ჯაფარიძე?

ომონიეპი

ვერ ჩატარდა ვაიმარში „ელგებეტეს“ ვაი მარში, მთანმინდაზე ვაი მარშით კი მოეწყო ვაი მარში.

მოსე მწერალი

ადამიანები — თავიანთი ადგილზე!



ლუკას სახარებაში ანგელოზთა გუნდი გალობით ამცნობს მეყო-გებს მაცხოვრის მოვლინებას.

ეს ის ღვთაებრივი, ზემად-ღებულის ჰანგები იყო, ანგელოზთა დასნი და დასნი რომ უგალობენ ყოველდღივად სამებას.

სწორედ ამ ღვთაებრივი, არა-ამქვეყნიური მადლიდან ებოძათ ნაპერწკალი მუსიკოსებს. სახელ-დობრ, მუსიკის მასწავლებლებს, რათა სული გაუფაქიზონ ალსაზ-რდებებს, მუსიკის იდუმალებას აზიარონ და ზედმეტად სამყაროში აიტაცონ.

სწორედ ამ დიდებულ მისიას ას-რულებენ ზურაბ ანჯაფარიძის სახე-ლობის ხელოვნების მე-5 სკოლის პედაგოგები.

რა გინდა რა პროფილის სკოლა რთული ორგანიზშია. მისი გამარ-თულ საქმიანობას ყოველი შეგმენ-ტის შეთანხმებული, შეწყობილი მუშაობა განაპირობებს. ამიტომ სკოლის წარმატებებში ცხადია საქ-მის მწარმოებლის მედეა ყირმისა-ვილისა და დამლაგებელ ლუბა ქან-ტურიძის წვლილი.

სკოლას ხელმძღვანელობს ღვანდომოსი ხელოვანი, ღირსების ორდენის კავალერი ქალბატონი მარინე არაგვიშვი-ლი, ვისთვისაც სკოლა რა ხანია ოჯახად იქცა და მისი სული და

განათლების რთულსა და საპატიო საქმეს.

1979 წელს, ახალგაზრდა დი-რექტორის ძალისხმევით, სტუ-დიის ბაზაზე მუსიკალური სკოლა გაიხსნა. იმხანობიდან მოყოლე-ბული, სკოლას იმდენი წარმატება, სიგელი, ჯილდო, გამარჯვება და ლაურეატობა აქვს მოპოვებული სხვადასხვა კონკურს-ფესტივალში, იმდენმა ალსაზრდელმა გაიკაფა გზა მუსიკის ოლიმპისაკენ, რომ ჩამოთვლა ძალზე გაგვიგრძელებ-და სიტყვას.

2008 წელს მე-5 სამუსიკო სკოლის ბაზაზე დაფუძნდა ზურ-აბ ანჯაფარიძის სახელობის ხე-ლოვნების მე-5 სკოლა.

თუ სათავე წმინდაა, წყაროც



ანკარა მოედინება. ქალბატონმა მარინემ ხელოვნებაზე უზომის შეყვარებული, შემოქმედი, ბავშ-ვების არსში მწვდომის უნარით დაჯილდოებული სპეციალისტე-ბი შემოიკრიბა და წარმატებებს წარმატებები დაერთო.

სახელდობრ, ვინ არიან ამ წარმატების მესაძირკველები?

და რესპუბლიკურ ღონისძიებაში. წლების მანძილზე იდგებოდა სასკოლო და ქალაქის სხვადასხვა სცენაზე მუსიკალურ-ლიტერატურ-ული კომპოზიციები: „თბილისი ჩემი სახლია“, „შობიდან - აღდ-გომამდე“ მასწავლებელი და დამ-დგმელი - მარინე გაბაშვილი. მისი წარმატებული მოსწავლეები არიან: მელაძე გიორგი, ჩალაური მარი-ამი. წელს, თელავში გამართულ შალვა დავითაშვილის მუსიკოსთა კონკურსში მონაწილეობისათვის ისინი სიგელებით დაჯილდოვდნენ.

მრავალჯერ დაიდგა წარმატე-ბით კომპოზიტორთა კავშირში, სკონცერტო დარბაზ „მუზაში“, სა-კონცერტო დარბაზ „მეორე სახლ-ში“ გ. ცაბაძის მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდები“. მასწავლე-ბელი და დამდგმელი - ლალი ბუჟანიშვილი, კონცერტმასტერი - თამარ გუგუშვილი, ქორეო-გრაფები: მარინე ამირაჯები და ნანი სიხარულიძე. ქალბატონ ლალის მონაწილე მოსწავლეები არიან: ყრუაშვილი ანასტასია, კიკვაძე ნატალია, უჩანავიშვი-ლი ვლადიმერი, გორჩიაშვილი ნინო, ავსაჯანიშვილი მარია, თედორაძე ანდრია.

აღსანიშნავია სკოლის გუნ-დის მონაწილეობა „საქართვე-ლოს კარტასის“ მოსწავლე-ბთან ერთად, საქართველოში რომის პაპის ჩამოსვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებაში.

თამარ გუგუშვილის მოსწავლემ მარიამ ბონდარენკომ მონან-ილეობა მიიღო უკრაინაში ჩატ-არებულ საესტრადო ვოკალისტთა კონკურსში „მე ვარ სუპერი“ და გადალახა პირველი ორი ტური.

ნინო ბურდიაშვილი წლების მანძილზე უძღვება სკოლასა და „საქართველოს კარტასში“ მიჰყ-ავს საესტრადო განყოფილების გიტარის კლასს. მისი მოსწავ-ლეები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო, საქალაქო და გასვლით კონცერტებსა და კონკურსებში. გამორჩეულნი არიან: კაპანაძე ვახო, ხუციშვილი გიორგი, ჩაჩავა საბა.

ქორეოგრაფიულ განყოფილება-ში ნაყოფიერად მუშაობენ მასწავ-ლებლები: ზაზა ბრეგვაძე, მარინე ამირაჯები, გიორგი ალიმბარაშ-ვილი, რომელთა ანსამბლები „ივ-ერიელი“ და „არმაზი“ ყველა სას-კოლო და საქალაქო ღონისძიებას ამშვენებენ. ანსამბლებმა გონიოში, თურქეთში, ეგვიპტეში, ბულგა-რეთში, მაკედონიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალებში ისახლეეს თავი.

სახვითი ხელოვნების განყო-ფილების მასწავლებელია სკოლის ნამონათქავე - ინგა ფრანგულაშ-ვილი. იგი სისტემატურად აწყ-ობს მოსწავლეების ნამუშევ-ართა გამოფენებს სკოლასა და ყველა საქალაქო ღონისძიებაზე. აღსანიშნავია გამოფენა „მე მინდა საქართველო მიცნობდეს“. მისი წარმატებული მოსწავლეები არიან:



ჩეკურაშვილი ანასტასია, პეტროვა მარია, ბაზავეი დავითი, ბაზავეი აკა-კი, გორგაძე ლიზი, თავაძე ანანო, მეტრეველი მარიამი, უჩანავიშვილი ვლადიმერი, მახვილაძე თეკლა, მახვილაძე მართა, კიკვაძე სან-დრო, ბარამიძე ნიკოლოზი, კიკვაძე ელენე.

ხალხურ საკრავთა განყოფილე-ბას 2 მასწავლებელი სალომე ბუაძე (ფანდური) და თამაზი ალიმბარაშვილი (დოლი) ემსახ-ურება, რომელთა მოსწავლეებიც გამოდიან სასკოლო და საქალაქო ღონისძიებებს ალამაზებენ. სახ-ელდობრ: მწელიშვილი ლუკა, ხორგუაშვილი დავითი, შუკაქ-იძე სერგი, ბურჯანაძე ბექა, ბა-ზავეი თეონა, ჩხიკვაძე გიორგი, ჩხიკვაძე ნინო, პირველი მარი-ამი, ქუთათელაძე ანანო, ქაჯაია ანდრია, ჭილაური საბა, ლაზარაშ-ვილი ლაზარე, სამარჯველი ანა.

თანამედროვე სპორტული ცეკ-ვის განყოფილებაშიც ორი პედა-გოგია: ნანი სიხარულიძე და სა-ლომე სიხარულიძე, რომლებიც წარმატებით მუშაობენ და უამრავი ჯილდო, დიპლომები და თასი აქვთ მიღებული. მათ შორის დეკემბერ-ში ჩატარებული „საქართველოს ყოველწლიური თასი თანამედროვე

კაპილითა, შუბითიძე ნუკი, ბაქრაძე თეკლა, კვანციძე მარი-ამი, შანიძე სალომე, ქუშაშვილი ნუკი, კერესელიძე ბარბარე, ქველაძე მარიამი, ბურჯანაძე ელენე, ლელაშვილი ანასტასია, ტატიშვილი ეთერი, მშენიერაძე ბარბარე, ეკუტიძე ანდრია, ბერუ-ლავა ანასტასია, ახალაია თინათინი, შუკაქიძე ელისაბედი, ბუტიკაშვილი მარიამი, ბაქრაძე ბარბარე, კაბერ-აშვილი კატო, ბერულავა იოანე, სვანიძე ლილე, რურუა ნიკოლოზი, მნიშური ნინა, ასანიძე ნათია, გოგ-იტიძე ენნი, ფირანაშვილი იაკობი, ფირანაშვილი ილია, ქუშაშვილი ნია, გულიაშვილი გვანცა, გულიაშვილი თეკლა, ბიბილური თათია, ებრა-ლიძე ვახტანგი, კაპანაძე ლილე, ტა-ტიშვილი ანასტასია, ტატიშვილი ბარბარე, ნიკლაური ანი, აბულაძე ბარბარე, კაპანაძე გვანცა, ბალაშ-ვილი მარიამი, ასანიძე სერგო, ასან-იძე ნათია, ბუცხრიკიძე თეკლა, ახა-ლაია ანა. მათ შორის გამორჩეულნი და სკოლის სიამაყე არიან: მია ხრიკული, ავსაჯანიშვილი მართა, ბატაძიძე თათა, ოლეინიკი ბარბარე, მშენიერაძე ბარბარე, ნიკლაური ელენე, გორგაძე ლიზი, ამირიძე ან-ასტასია და ტატიშვილი ეთერი.

სკოლაში 8 მალაღია აკადემიური



სპორტულ ცეკვებსა და ჩერლიდ-ინგში“, საერთაშორისო ცეკვის ოლიმპიადა სპორტულ დარბაზ არენაში, ახალ სპორტის სასახ-ლეში, „ძიუდოს აკადემიაში“, გას-ვლითი ჩემპიონატები ქ. ბათუმში „ აჭარის ღია ჩემპიონატი“ ქ. ერევანში საერთაშორისო ცეკვის ოლიმპიადამ“. მათი მოსწავლეები არიან: ხრიკული მია, ავსაჯანიშ-ვილი მართა, ავსაჯანიშვილი ბარ-ბარე, ნიკლაური ელენე, გორგაძე ლიზი, ამირიძე ანასტასია, ბარამიძე თათა, მახარაშვილი ელენე, ოლე-ინიკი ბარბარე, გუგუშვილი ნანა, გუგუშვილი ნინო, ნინი

წარმატების მქონე მოსწავლეა, რომლებიც აქტიურად მონაწილეო-ბენ ყველა საქალაქო თუ სასკოლო ღონისძიებაში.

ესენი არიან: ჯანგაძე ნათია - მე-5 კლ., ებანოძე მარიამი მე-4 კლ., ჯიქიძე ანამარია მე-7 კლ., ტაველიშვილი ანდრია - მე-4 კლ., მახვილაძე თეკლა - მე-2 კლ., უძ-ილაური ქეთევანი - მე-4 კლ., ხუბუა მარიამი - მე-5 კლ., ჩახუ-ნაშვილი საბა - მე-5 კლ.

ვკონებ, ცხადია, როდენ დასა-ფასებლები არიან ხელოვნების მე-5 სკოლის მუშაკები, ვინც თავგამოდებით, ყოველდღიური შემოქმედებით, მიზანმიმართული შრომით აზიარებენ ყმაწვილებს ხელოვნების სხვადასხვა დარგის საიდუმლოებებს, სულს უფაქიზე-ბენ და ცხოვრების გზაზე მტკიცედ დადგომის ურყევ საფუძველს უქმ-ნიან.

ზემოთქმული, შესაძლოა, ასე შევაჯამოთ: ადამიანები — თავის ადგილზე!

მარიამ სატიანაშვილი-გურგენიძე



გული მთლიანად აქაა განფენილი. მას მხარში უდგას მცოდნე, ენთუ-ზიასტი სპეციალისტი, სასწავლო ნაწილის გამგე, ქალბატონი ლალი ბუჟანიშვილი.

ასე დაიწყო: 1973 წელს განა-თლების სამინისტროს ბაზაზე დაბა ზაჰესში სამუსიკო სტუდია გაიხსნა. 1977 წელს მისი ხელმძღ-ვანელობა შეიცვალა და სტუდიას სათავეში ახალგაზრდა, საქმეზე იმთავითვე შეყვარებული, ენთუ-ზიასტი სპეციალისტი, ქალბატონი მარინე არაგვიშვილი ჩაუდგა და აგერ 55-ე წელია სახელოვნად უძ-ღვება ყმაწვილების მუსიკალური



დიაცის ცრემლები



– რა ცრემლები ჩამოგდის, დიაცო?

– თოვლით იფარება ძველები, ცრემლების უფლება ვინ წამართვა?

– ქვისთვის ტირილი სად გაგონილა, შენ ჭკვაზე არ ხარ, საბრალო!

– ჭკვაზედ თავად არ ბრძანდები! მე ძველის სულს ვხედავ და ის მენანება, რომ თოვლი დაფარავს. მე მაინც იმას ვნაღვლო, ყველა თავგანწირულის ხვედრი ბოლოს მარტოობა რომაა.

– თოვლი მის სულს ვერას დააკლვს, ცრემლიანო დიაცო, ისიც გახსოვდეს, მუდმივი ამ ქვეყნად არაფერია. განადგურდება ფიზიკურად არსებული, მაგრამ სული მაინც არ მოკვდება.

– ჩემი ცრემლების უფლება ვინ წამართვა? მე ვსტრიო იმად, რომ სამშობლოსათვის თავგანწირულნი ასე მალე დაღვნიყვას მიეცემიან.

– ცრემლიანო დიაცო, პოეტი ხარ თუ მხატვარი?

– არც ერთი და არც მეორე, მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა დამძლია, გადაამეტა ყველა გრძნობას ჩემში.

იქვე ძონძებიანი მათხოვარი ჩასაფრებელიყო და მათ საუბარს ყურს მიაპყრობდა. უცებ თოვლი მხრებიდან ჩამოიბერტყა გიჟმათხოვარმა და ძლიერი ხმით გამოესარჩლა მოსაუბრეთ.

– თისა! თისა! თისებო, თქვენ უგუნურებო! მე გიჟი ვარ! მაგრამ მაინც გეტყვი: თქვენ ყველა თისები ხართ. მიდრეკილება გაქვთ იმ მინისკენ, რომელზეც იშვით, იკვებთ. იგივე მინა გიზიდავთ, მერე ვითომ მის დასაცავად სწირავთ სიცოცხლეს, მაგრამ გამჩენი მაინც მტვრად და თიხად გაქცევთ, ანდა ეს ძველიც მტვრად გადაიქცევა, დაღვნიყვას მიეცემა, თქვენც უგუნურებო, თქვე თიხებო! მეც თისა ვარ! შეხედეთ დაკონკილი ტანთსამოსი, ისიც სხვებისგან ნაწყალობევი. მერე რა, თქვენს ძვირფას სამოსელსაც და ჩემს ძონძებსაც თიხა მტვრად აქცევს, ვაი თქვენს პატრონს უბედურს! ასე და ამგვარად, მე წავალ ამ თოვლში. რაზე ტირის ეს უპატრონო. თოვლი სინდინდეა, თეთრია, მტვრისგან მაინც

მოასვენებს მისგან ასე რჩეულ ძველს...

და გაიკვლია თოვლში გიჟმა გზა...

– აი, ვინ არის გიჟი, ჩემო თანამგზავრო. მე ცრემლების უფლება თითქმის წამართვი და გიჟი ამდენ ხანს ალაპარაკე.

– გიჟმა ბევრი ჭეშმარიტება ათქმევინა მის ბაგეს. მე კიდევ გულახდილად გეტყვი, დიაცო, თავად გახლავარ მხატვარი და ამიტომაც გამოგესარჩლე, საბრალო. სამშობლოს სიყვარულით გამოწვეული ცრემლები ფრიად დაფასების ღირსია, მით უფრო, თუ ყველაზე თავგანწირულთათვის იღვრება.

– მე ვერ დავღვრი ცრემლებს შენსავით, დიაცო, რადგან მამაკაცი ვარ. გულში კი ჩავიკალი ცრემლის გრძნობები. შენ მე მაჯობე, მაჯობე ზამთრის სიცივეში, როცა გრძნობებიც კი გაყინულია და მადლობა უფალს! ეს გრძნობები ჯერ კიდევ შემორჩენია ჩვენს მინა-წყალს. შენნაირთა ცრემლები გადარჩენს მამულს...

მხატვარმა ძველს შეხედა და ფიქრებთან ერთად ჩურჩული დაიწყო თავგანწირულთათვის.

– რა დააღვნიყვს ვისმეს, ბატონო, თქვენგან გაღებულს მსხვერპლს.

თოვლის ბილიკები აჭრაჭუნდა გამოჩენილი მგზავრებისაგან.

– ვინ არის ეს ქალი? – კითხულობდა მგზავრი, – თოვლში ჩაეფლობა მალე! ნეტავ, ვერა გრძნობს?

– გაუშვი, იყოს! ნამდვილი გიჟია!

– ქალბატონო, გზას ვერ გაიკვლევთ, თოვლი ძლიერდება.

– მე არ მეშინია, ამ ძველთან ერთად უნდა ჩავიფლოო თოვლში, თქვენ რა განუხებთ? ჩემი ცრემლების უფლება ვინ წამართვა? – თავისთვის ჩურჩულებდა.

მხრები აიჩინა უცხო ქალბატონმა, „რა ატირებსო ქვის გულისთვის“.

– თავი დაანებეთ, – გვერდით თანმხლებმა შეახსენა, – იტიროს, გულს იოხებს იქნებ რაღაცისთვის.

– თქვენ სამშობლო გაქვთ? ანუ გაქვთ, გიგრძნობთ მისი სიყვარული? ან გიფიქრიათ სამშობლოსათვის თავგანწირულთა ხვედრზე?

– შენზე ნაკლებად სამშობლო არც ჩვენ გვიყვარს, მაგრამ ამ თოვლში სწორედაც არ დავდგებით და გავითოშებით.

– ნუთუ, ვერ ხვდებით, ადამიანებო, ამ განცდას, იქნებ უცხო რამ ძალამ ეს ძველი მოსპოს, ვეღარც დაღვნიყვით და გადაგვავიწყდეს ეს ამაღლებული გრძნობა. მე კიდევ თოვლმა შემამინა,

იქნებ წინასწარ ჩაფლული არც გამოჩნდეს და დაკარგვას უქადდეს მომავალი...

– ღმერთმა დაიფაროს. თუმცა სადაც დიდი სიყვარულია, სიძულვილიც იქვე ჩნდება. მაშ, როგორ უნდა დარჩეს ეს (ყველაფერი) სიყვარული?

თოვლი თითქოს წყდება. მზე ცაზე ღრუბლებს ომს უცხადებდა. ბოლოს გაიმარჯვა. ცრემლიანი დიაცის მუდარა მზემ შეიგრძნო, თითქოს. მზე! მზე უშველის ამ სიცივეს. მზე გააღებოდა თოვლს. ხვალ შეიძლება აღარც კი თოვდეს. გამდნარი თოვლის წვეთები ცრემლებად მომდინარე ძველის თვალთაგან თითქოს უერთდებოდა ქალის ცრემლებს.

თურმე ერთი ანთებული გულითაც შეიძლება სასწაულის მოხდენა და სამშობლოს გადარჩენა...

საოცარი იყო. გამოიძარა. ნამდვილად გადავრჩებითო...

ძველის მზერა მიაცილებდა დიაცს გაკვალულ თოვლში, ის კი მისდა უნებურად კვლავ ჩურჩულებდა:

– ჩემი ცრემლების უფლება ვინ წამართვა?

ფიქრები გაჰყვა მხატვარს... გაოცებული დარჩა ჭკვიანი, სიგიჟედ რომ ჩათვალა „დიაცის ცრემლები“.

მეკრიელი

– ბაბუ! ბაბუ! ნახე, რა ანათებს ასეთ სიბნელეში! – გაოცებული პატარა ბიჭი სახეანთოლებული ნახევრად მშობარა მიუყვება მოხუცს. საურმე გზა გაიარეს ფრთხილად, არ აფეთებდნენ ღამის ლანდებს, სერებს. გახედა მოხუცმა, თვალით გახვრიტა ცა. მთვარე ჯერ არ ჩანს, მალე გამოჩნდება.

– „მეკრიელი“, ბაბუ, მერკიელი!

– მეკრიელი! – ასევე გაოცებით წამოიძახა ბიჭმა. ეტყობა, ინტერესს გაელიზიანებინა.

– იცი, შენ ბაბუ? როცა ღამით გადანათებულია არემარე, მთვარე ჯერ კიდევ არ ჩანს და საცაა გამოჩნდება, ამას მერკიელი ჰქვია ჩვენებურის ენით.

– რა საინტერესოა, თუ იმალება, რითა ანათებს? რა ძალა აქვს ასეთი? სიბნელე ვერ გამოსცემს მზესავით, არც ათეთრებს და ჩვენ ხომ მაინც გვშველის დიდი მანძილის დაძლევაში? ასეა, რა ბრიყვი ყოფილა მთვარე! დღისით ვერც ბედავს გამოჩენას, ღამით კიდევ თავს გვახსენებს და სიბნელეში გზის გასაგნებად გვშველის!

– საბრალოა, ბაბუ, მთვარე!

ლაშქარსაც კი ვერ გაეჩუმებინა მოხუცი.

– ბრიყვი მთვარე. მისმა სიბრიყვემ ახალგაზრდობაში მხოლოდ ერთი პატარა ლექსი დამანერინა. ამ დროს, იცოდე, მთვარე საოცარი სიბნელით მოცული, მხოლოდ მზის სხივების წყალობით განათებული სხეულია.

საბრალო მთვარე, ბრიყვი მთვარე!

დედამინდიდან ასე ახლოს რომ იჭყიტება;

თითქოს გგონია, სიბნელეში გზას გვინათებდეს, მზის წყალობაა დროებითი გასხივოსნება.

მთვარე კი მაინც ისევ რჩება ცივი სამარე!

– ბაბუ, რატომ არ დაწერე მეტი ლექსი?

– არ ვიცი პატარავ! მთვარემ ისე შემამინა, ისე გამაცივა მისმა მიუწვდომელმა სიახლოვემ...

– აღარ გააგრძელა მოხუცმა, – პოეტობა აღარ იყო ჩემი ბედისწერა.

– ბაბუ, მე რატომ ვერ დავწერე ერთი ლექსი?

– მუზამ თავი აგარიდა, მოგშორდა და მიგატოვა ჩემსავით.

– მე ძალიან მომწონს ჩვენი მოგზაურობა, შენ ბაბუ?

– მეც კმაყოფილი დავრჩი მოგზაურობით...

ბაბუაც და შვილიშვილიც, თითქმის, ერთდროულად აცქერდებოდნენ ცას და ერთნაირად ფიქრობდნენ, როდის მივალნევთ მშობლიურ სოფელს.

– აუ, რამხელა გზა გამოვიარეთ!

– შენ ჯერ ბავში ხარ და გგონია, დიდი მანძილი გამოვიარეთ. არაფერია, დილით ვიქნებით ჩვენს სოფელში. შენხელას ასე მეგონა, უზარმაზარი იყო სამი სოფელი ერთად. ახლა სულ მცირედლა მესახება დედამინა. ჩვენი პლანეტა არც ისე დიდია, პატარავ, ამიტომაც ხდება დიდი ომები.

– რისთვის ხდება ომი, ბაბუა?

– მინისთვის, სწორედ დედამინისთვის...

ბაბუა გრძნობდა, მთლად სიფხიზლე ვერ მორეოდა შვილიშვილს.

– გეძინება, ბაბუ?

– კი.

ბაბუამ ნაბადი გაშალა. ცხენი გვერდზე მიაბა, შვილიშვილს ორად შემოუკეცა და თავი მიაღო. თითქმის დილაშე ეძინათ. ამ დროს მთვარემ ღრუბლები გამოჩეხა და ჩამოხედა მძინარეთ.

თანდათან ქრებოდა მთვარეული, სინათლე ნელდებოდა. ეტყობოდა, დიდებული მზე სტ-

უმრობას ცდილობდა. მამლების ხმა აფხიზლებდა მგზავრებს. ბაბუამ მძინარე შვილიშვილს დახედა. მეკრიელი ღამე გაახსენდა. ცხენსაც დაესვენებინა, მაგრამ პატრონის სიფხიზლე მასაც გადადებოდა და ხანდახან დაიფრუტუნებდა. გაახსენდა – როდის გაუფდებოდა გზასო!

შვილიშვილი ვერ გაიშვებდა ბაბუამ. არ მოაფხიზლა. დიდხანს აძინა. შემდეგ ახმაურდა სოფელი, სუფთა დილა მზეს ეგებებოდა. მზის სხივები სწრაფი სიჩქარით ამოძრავებდა სოფელს. აიძულებდა მოქმედებისკენ.

შვილიშვილს მზემ დაანათა და თვალები გაახილა. იმწამსვე შეიცივნო სამყარო გაბრწყინებული, ხილული, უშიშარი. სიბნელე გამქრალიყო.

– მე კარგად მეძინა, ბაბუ!

– შენ ასე გგონია, დაიღვლებოდი, მთავარია, ღამით კარგად გეძინოს, პატარავ. მერე, როცა დავაჟკაცდები, სიბნელეც ადვილად გეწვევა, სიბნელეშიც კარგად ივლი და სოფლიდან სოფელშიც.

– მეკრიელი არ დამავიწყდება, ბაბუ!

– მართლა, რა საოცარი ღამე იყო წუხელის და დღეს, როგორ გააბრწყინა მზემ დედამინა.

– ბაბუ, ჩვენს სოფელში იქნე-

ბა კარგი ამინდი?

– კი, შვილო! რალა დარჩა, ერთი სოფელი და... მზეც როგორ მიგვაცილებს გზაზედ.

– ბაბუ, რა იქნება, სულ რომ დღე იყოს და მზემ ანათოს?

– რატომ, ბაბუ? ღმერთს ორთავე გაუჩენია. ის საოცარი ღამე რომ არ გვენახა, ვერ შევიცნობდით მზეს და მის დიდებას. მზე გვაძლევს სიცოცხლეს, გვაძლევს სიცივეს, მთავარია, არ ავყვით ღამის ცდუნებებს. არ ჩავიდინოთ ბოროტება, თორემ ვერცერთი ბნელეთი ვერ იხსნის დამალულს...

სოფელში შევიდნენ. მზე შეეგებათ. ცხენსაც გადადებოდა სიხარული. თამაშით შევიდა ეზოში, მაგრამ შვილიშვილს მაინც მეკრიელი ღამე ედგა თვალწინ. ანათებს მთვარე, არ ჩანს, გადანათებულია ყველაფერი...

– ბაბუ, ამაღამ იქნება მეკრიელი ღამე?

– რატომ ფიქრობ ამდენს, პატარავ?

– დიდია ზამთრის ღამეები? გაზაფხული მენატრება მაინც.

– გაზაფხული მეც მენატრება, ბაბუ! მაგრამ მეკრიელი ღამე იმედია ზამთრის ამ უსაშველო გრძელ ღამეებში.

იუბილარი



როსტომ მიგრიანი ფშავედნაა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა შსს-ში და პოლკოვნიკის ჩინით გავიდა პენსიაზე.

მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ამჟამად აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. არის ა/ს კავშირის - „ფშავეის აღორძინება-განვითარება“ - თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე.

მისი ინიციატივითა და დაფინანსებით ფშავეში აშენდა გირი დედის, სანათას ობელისკი და დაფუძნდა სახალხო დღესასწაული „სანათაობა“. მისივე ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით გადაღებულ იქნა დოკუმენტური ფილმი ფშავეზე; ასევე მისი ძალისხმევით მიმდინარეობს XI საუკუნის კართანის ეკლესიის აღდგენა-რესტავრაცია ფშავეში, მალაროსკარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მიგრიანულაში და ამავე სოფელში მოხდა საჯვარაობის სალოცავის აღდგენა.

უცნაურ სამოთხეთა მიკანალი...

ჩემი მეგობრის - როსტომ მიგრიანის ამ ახალ ნიგნში დაბეჭდილ ლექსებს გადავავლე თვალი და უცბად იელვა - მასთან ვარ... მასთან ერთად მიმოვიფიქვარ, განვიცდი ყოველივეს, რაც კი მის კალამს სიყვარულის ნაირფერადი ძაფებით მოუქარავს! რატომ მიკვირს? რა გამკვირვებია? მე ხომ უამრავი წამიკითხავს, მაგრამ... აჰა! მივხვდი! როსტომს იმდენად ვენდობი, ისე ნაღდა და ჭეშმარიტი, შორიდან, ფრთხილად კი არ გავცქერ, არამედ - ფშავეის ხეობებში, ტყე-მდელოებზე, წყაროებთან, ყვავილნარებთან, დეკა-იელთან, კლდეებზე ფეს-

ვმოკიდებულ მშვენიერებასთან... მასთან ერთად, გვერდი-გვერდ ხან მივაბიჯებ, ხან მიმოვქერი, ხანაც ზეცას მოლივლივე ნისლებში ვეხვევი!

ერთად ვდარდობთ! ერთად გვიხარია! თეთრი ბილიკებით მივიწვევ მალამალა, ყოველდღიური ხმაურისაგან შორს, სილაჟვარდემი, სადაც დიდი ვაჟას, გალაკტიონის სვედიანი, დარდის მორევი ბრუნავს, ტრიალებს, ლურლულებს და ვგრძნობ, მათი სულის მონაბერი რაგორ მივიწვევ საუფლო ბილიკებზე! როსტომ, ძმობილო! უცნაურ ქვეყანათა სამოთხეების მძებნელო, ამ წამს გხედავ ფშავეში. ერთ-ერთ აყრილ სოფელთან მუხლიჩოქა მდგომს, რომელსაც შენ ოდესღაც ლექსი უძღვენი: ნეტავ სახელი რა გერქვა, ბედმა რა ხვედრი გარგუნა! ოხერმა წუთისოფელმა რა ჭირ-ვარამში გაბრუნა! ძირიდან რამ ამოძირკვა, შენი ლიბო და გოდოლი, არც შეძლებული დაინდო, არც ოხერი და ობოლი! საით წავიდნენ, სად განყდნენ ფხოვის მგლისმულა ფშავლები, რო აღარ დარჩა სამზუნს უფალთან ამბის წამლები! როსტომ, ძმო, სანთელივით ანთიხარ შენს უსაყვარლეს მხარეში - ფხოვში და

გაზაფხულს დანატრებულს მანდეთ მომინევს გული:

ამ პირისხლიან სანუთროში ძლივს გნახე კაცი, მოარული გზა-ბილიკებით დიდი ვაჟასი, გაზაფხულდება, კვლავ შევხვდებით ძმობილები ალივლივებულ ვარდისფერ ფშავეში, მიხა ხელაშვილს მოვიგონებთ, ჩარგალს, ახადში! იალსრის ავლით ვეძალებით ხომარას, ლაშარს, წყალობას ღვთისას შუბლზე გვაკურებს მხნე ზევისბერი, სანთლებს დავეუნთებთ საქართველოში ყველა ნასოფლარს, არავინ იცის, ვის, რას უმზადებს მსახვრალი ბედი! შენ მუხლიჩოქა დაუდექი ერთ სოფელს ფშავეში, სისხლი დაგინვა ნანგრევების გლოვამ და თვლემამ, ქვეყანას უცქერ, როგორც დედას მონატრული მტრალი ბავშვი და ნასოფლარს ეკითხები - რა გერქვა ნეტავ? უცნაურ სამოთხეთა მძებნელო როსტომ, არ შეჩერდე - როგორც არაგვმა - იქუხე, ილივლივე, იარე, იარე, იარე!

ჯეშალ დავლიანიძე

საქართველოს კულტურის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს (ექსპრომტი) ბოროტის დასამარცხებლად არასდროს არის გვიანი, ადრე თუ გვიყვება თამარი, დღესა გვიყვებს წულუკიანი. ერი რომ გერთიანდეს, კვლავ მტკივნეული თემაა, დღეს საქართველოს იმედი წულუკიანი თეაა. პატივისცემით, პოეტი ზურაბ მამულაშვილი

ჩვენს კოლეგას ნათელა ქიმერიძეს და მის ოჯახს ვუსამძიმრებთ მეუღლის, ცნობილის ჟურნალისტის, ეკონომიკის დოქტორის, საზოგადო მოღვაწის გარდაცვალების გამო. გარდაცვალების გამო. გარდაცვალების გამო. გარდაცვალების გამო. გარდაცვალების გამო. გარდაცვალების გამო.

პოეტის ბახსენება



12 ოქტომბერს თემურ ფირცხალიშვილის სახელობის შემოქმედთა მუზეუმში გაიმართა, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, დამსახურებული პედაგოგისა და უბადლო ადამიანის, გელა გეგუჩაძის ხსოვნის საღამო. მას 64 წელი შეუსრულდებოდა. მონაწილეობდნენ: გარდაცვლილი პოეტის პედაგოგი ქალბატონი ვენერა კალანდარიშვილი, სტუმრები საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მწერალთა კავშირიდან, ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები, სოფელ ნიგოთისის საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, მეუღლე და ოჯახის წევრები და გელა გეგუჩაძის პოეზიის თავყვანისმცემლები. საღამოს უძღვებოდა ქართული კულტურის ამადარი, ქალბატონი დარეჯან ბინაძე.

სიტყვით გამოვიდნენ და ლექსებს კითხულობდნენ: მხცოვანი პედაგოგი ვენერა კალანდარიშვილი, ფოლკლორისტი მაია ჭანტურია, პოეტი მაია ჩხაიძე, ეგნატე ნინოშვილის სახელობის მუზეუმის თანამშრომელი ქალბატონი მაყვალა მურვანიძე, ნიგოთის სკოლის მოსწავლეები: ქრისტინა მანჯავიძე, მერაბ ფირცხალიშვილი, მარიამ გორგოზია, ლიზი კუცია, თამუნა თაბაგარი, შემოქმედებითი საზოგადოების „სამებას“ წევრი დიმიტრი ბერიძე, სამსონ მათითაიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირიდან მწერლები: გერმანე საზანოელი, ზურაბ ქობალია, ზურაბ მამულაშვილი, თინა სტეპლიანი და სხვები... საღამო გიტარის თანხლებით, გელა გეგუჩაძის ლექსზე შექმნილი სიმღერით გაამშვენებია ქალბატონმა ინგა გოგუაძემ. ღონისძიებისათვის მუზეუმის თანამშრომლებმა მოაწყვეს პოეტის ხელნაწერებისა და ფოტოების კუთხე. შეხვედრამ სიყვარულით გამთბარ გარემოში ჩაიარა.



მოსე მწერლის კუთხე „ზოგჯერ მაინც გავიცინოთ!“ პოლიტიკო მანია ზურაბ მამულაშვილი პოლიტიკო სახელია, გვარი კი აქვს მანია, მიხზა თუ ვანია, მეგრული თუ სვანია, ქართლელია თუ ოსი, არის პოლიტიკოსი, ყველგან ამ ჩვენს მიწაზე, ბზიკაძე თუ ბინაძე წერვილობს, კამათობს მხოლოდ პოლიტიკაზე, ესეც, ისიც, ბოლოს კი, ვინც შეჭამა ბოლოკი. თურმე ყველა გამხდარა ექსპერტ პოლიტოლოგი, ზოგი გადაქცეულა, რჩეულ პოლიტოლოგად, ვინც კი ამერიკული შოკოლადი მოლოკა, ყველა როდია ასეთი, ბევრი სიკეთის მსგავსია, აი, ექსპერტი რამაზი, თუნდაც რიტორი ვასია.

ვიცი, დინგი რაც არი, არ მჭირდება ნიგნი, რებრე თუ კი ღორია, არის რებრედინგი. მიკროდიალოგი ლადი ზელენსკი ბაიდენს: ვილუბები, მიშველე, იარალი მომეცი! ვო ბაიდენი პუტინს: დაგასანქცირებთ! ნახეთ რა მოგივათ! ლადი ლადის ძე პუტინი: ვაა! თქვენ არაფერი მაგივათ? ოპტიმიზმი გამხიარული ბუხარო, გულწაფრობილი წუ ხარო, შემოდგომა უწვიმო, უკოვილო და უქარო!

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე 555 596 050 აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე 593 422 258 გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“ ს/ს 402010587 ს/ს თბილისი ბანკი: GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181; ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეტონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48; ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N6 (4605) 19 ოქტომბერი / 2022 წელი გაზეთი გამოდის 1928 წლიდან ISSN 1987-9113 9 771987 911009